თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8011930

ნომერი: AR11151805

თარიღი : 13.07.2026

გაცემის თარიღი : 20.07.2026

გაცნობის თარიღი : 21.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , "საქნავთობი"-ს დასახ. მიმდებარედ , (ნაკვ. 01/012);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით რობაქიძე პ/ნ 01024034289
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 25ა, ბინა 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

პ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება რომ არსებული ფასმაჩვენებელი განთავსებულია საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე .

იმ შემთხვევაში თუ სტელა მოწყობილია კანონიერად წარმოსადგენი გექნებათ აღნიშნული სტელის კანონიერების დამდგენი დოკუმებტაცია , ხოლო თუ კანონიერება ვერ დგინდება ასეთ შმთხვევაში მისი დემონტაჟის განხორციელებისათვის საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციას და მათ მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე მოახდინოთ არსებული ფასმაჩვენებლის და სამსახურში წარმოადგინოთ დემონტაჟის შემდგომ არსებული ფოტოსურათები.

კანონიერების დამდგენი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში სარეკლამო კონსტრუქციის დემონტაჟის შეთანხმების შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

საჭიროა ასევე განიმარტოს იგივე კონსტრუქციის გადმოტანას გეგმავთ თუ ახალის დამონტაჟებას.

არსებული სიტუაციის ფოტოსურათების ველში საჭიროა ასახოთ არსებული კონსტრუქციის სტელის ამსახველი ფოტოსურათები და თუ მის დამონტაჟებას გეგმავთ თქვენ საკადასტრო საზღვრებში მიუთითეთ მასალა და დეტალური ზომები.
ასევე ასარჩევი გექნებათ დამატებით ახალი ნომენკლატურა I კლასი> აბრებისა და რეკლამების განთავსება> დემონტაჟი

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : - დამატებით წარმოდგენილი იქნასა ვტოგასამართი სადგურის ფასმაჩვენებელის ესკიზური ვერსია, მასალისა და დეტალური ზომების ასახვით;

ასევე გაცნობებთ საპროექტო ნაკვეთი ექცევა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოსავლელი გზა) და ნატახტარი-ჟინვალის შემოსავლელი საავტომობილო გზის განვითარების ბუფერში.
ამ ეტაპზე საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (წერილის ნომ.: ---- მოგეწერებათ დამატებით -), შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.